# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 13 სამშაბათი, 19 იანვარი 1910 წ. № 13

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე, მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

◆ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ◆

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

**კნ. თამარ გიორგის ასული, თავადნი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, დავით და გიორგი ნიკოლოზის ძენი ამირეჯიბნი, გიორგი დიმიტრის ძე და ელენე ნიკოლოზის ასული დიდებულიძენი და კნ. ნინო ივანეს ასული ამირეჯიბისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ელისავეტოგრადის კავალერიის სასწავლებლის იუნკრის

### თავ. ირაკლი ნიკოლოზის ძის ამირეჯიბისას.

გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოს ნიშიდან დღეს, სამშაბათს, 19 იანვარს, სალამოს ოთხ საათზე ტფილისის სადგურზე, საიდანაც ღამის პირველ საათზე წასვენებულ იქნება სოფელ ავლევში (გორის მაზრა) და დაკრძალულ იქნება ხუთშაბათს, 21 იანვარს, დილის ათ საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში. (1—127—1)

ძმები **რაფიელ, მღ. სერაფიონ** და **ვარლამ**, დები **მარიამ** (ალთიპარმაკი) და **დომინიკა ჩიხლაძეები**, რძლები **ტერეზია, ელენე** და **ზინაბია**, სიძე **იოსებ ივანეს ძე ალთიპარმაკი** და ძმისწულები **რაისა** და **დარეჯან რაფაელის ასულნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის და ტფილისის პირველ გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფის

### ვლადიმერ ნიკოლოზის ძის ჩიხლაძისას.

დასაფლავება დანიშნულია ოთხშაბათს, 20 იანვრისთვის, 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ძველი ტფილისის ქუჩა, ამბაკო იამანიძის სახლიდან. (1—კვ.—1)



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

**გასტროლი იაპონურ დასისა.**

სამშაბათს, 17 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. საუცხოვო წარმოდგენა შესანიშნავ ევროპ. არტისტებისა და კლოუნების მონაწილეობით. სხვათა შორის, მონაწ. იღებს შესანიშნავი **იაპონური დასი**, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სასახლის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. იაპონური დასი გამოვა მე-2 განყოფილებაში.

დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**

**ანონსი:** 20 იანვარს, ბენეფისი ე. ი. ნიკიტინისა. შესანიშნავი წარმოდგენა.

ცნობილი ფირმა **აბრეშუმის თესლისა**

## ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით **განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა** თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს **ი. გოკიელოვის შ—ს** ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—6.—3)

საწვრიმალო განყოფილება სავაჭრო სახლის

## ☛ ძმ. ა. და ა. მილოვებისა ☚

გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 774.

## დანიშნულია ხუთი დღით

◀ 19, 20, 21, 22, 23 იანვარს ▶

## დიდი ვაჭრობა დარჩენილ ნაჭრებისა.

და ყველა საქონლისა, რომელიც საზამთრო **სეზონს** გადარჩა,

## ● ფასის ძალიან დაკლებით ●

აბრეშუმის, შალეულის, მაუდის, ტილოს და ბამბის საქონელი. სუფრები, საბნები, ხელსახოცები, პლედები საგზაო და ეკიპაჟისა.

◀ **ქალის ხალათები** კრეპოვისა და ნაკერი ტანისამოსი აგრეთვე ▶

**მაუდის** საქონელი **ინგლისისა და რუსის** ფირმებისა. სადილის დროს, $2^1/_2$-დან 4 საათამდე, მაღაზია დაკეტილი იქნება. (2—გაჟ.—2)

**წარმოდგენა № 28. ქართული თეატრი წარმოდგენა № 28.**

**პარასკევს, 22 იანვარს 1910 წელს.**

◀ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით** ▶

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **სობოლჩიკოვ-სამარინისა.**

## საად მიხვალ?!

დრამა 5 მოქმედებად თარ. (Quo Vadis) აკაკი წერეთლისა.

**პეტრონის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თ. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვ., გომელაური, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, სვიმონიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ სალამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „მარგარიტა გოტიე".

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## შაბათს, ამა იანვრის 23-ს

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება**

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

## ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუალამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

**დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.** (8—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—87)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—249)

**ექიმი გ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—74)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—78)

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, გაიმართება

## —● საღამო ●—

1. ბ-ნი **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. **დივერტისმენტი:** სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანებსაც), ბ-ნნი ხაკოლსკი გედევანოვი, კავსაძე თავის ხოროთი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. **ცეკვა-თამაში**

დაუკრავს მუსიკა და ზაზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება **ქალაქის ბირჟის ზალაში**, ერევნის მოედანთან.

(4—1) საღამოს დიასახლისი **ქნ. დ. ჯავახიშვილისა.**

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—37)

**ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. **ელექტროტერაპია**—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—10)

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 სათზე. ავლაბარი, კამგეროვის ქუჩა N 17ა პრევიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—3

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—345)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

◀ **უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად** ▶

## განდეგილის

**თხზულებაზე—არის 25 იანვარი.**

ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ.), „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი 25 კაპ. (6—6.—1)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—16

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ხ. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28, **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—85)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—1)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღზე ქიქოძის სახლი. (0—უ.—95)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირონის ქ., № 9. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ტფილისი, 19 იანვარი

ბ-ნმა სიტყვამ ლაპარაკი ჩამოაგდო ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებზე და მართლაც დროა, ყურადღება მიექცეს იმ უკულმართობას, რომელიც მაგრა იკიდებს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. ჩნდება და შეუპოვრად ვითარდება მთელი მიმართულება, რომელსაც საგნად აქვს, ნებსით და უნებლიეთ—ეს სულერთია, ბეჯითად ემსახუროს ჩვენს გადაგვარებას.

ამას წინად ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ საზოგადო საქმესა და ჩვენ პირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად და, როცა ჯერი ქართულ თეატრის სვებედზე მიდგა, ხსენებულ მიმართულების ერთ-ერთ იდეოლოგმა ასეთი სიტყვა წარმოსთქვა: ქართულ თეატრის აღორძინებაზე ზრუნვა ამაოა; იგი ხვედრი უნდა იქმნეს „მდაბიო ქართველ ხალხისა", ხოლო განათლებული საზოგადოება, ინტელიგენცია, ძალა-უნებურად იცხოვრებს და იზრდოვებს უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ და უფრო განვითარებულის რუსულის თეატრითაო.

ამ სიტყვებით მშვენიერად ხასიათდება ის მიმართულება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ქართული თეატრი, ქართული ლიტერატურა, ქართული ენა, ქართული გაზეთი—ყველაფერი ეს „მდაბიო ხალხს" უნდა დავულოცოთ, რადგან ვერც ერთი ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს. ყველი ქართველი,

რომელიც განათლებას მიიღებს, რუსულ ლიტერატურას, რუსულ გაზეთს, რუსულ თეატრს უნდა დაეწაფოს, რადგან სხვა გზა არა აქვს, რომ თავისი განვითარებული და განათლებული გემოვნება დაიკმაყოფილოს. ეს მართლაც ასე ხდება ჩვენს სინამდვილეში; მაგრამ, თუ წინად ეს ფაქტი დუხჭირ მოვლენად მიგვაჩნდა და წლებზე ფეხებს ვიდგამდით, რათა საკუთარი ლიტერატურა, თეატრი, საკუთარი კულტურა აგვემაღლებინა, დღეს გაგვიჩნდა მთელი მიმართულება, რომელიც სამწუხარო და სავალალო მოვლენას სასიქადულო მოძღვრებად ჰქმნის და უსირცხვილოდ ჰქადაგებს.

ავიღოთ მაგალითისთვის გაზეთის საქმე, პრესსა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი ახლანდელი ლაპარაკი. ქართულად ორი ყოველ-დღიური გაზეთი გამოდის, რომელთაც სული ძლივს უდგიათ უსახსრობისა და ლიტერატურულ ძალთა ნაკლებობისა გამო. იმის მაგიერ, რომ მათ გამაგრებისა და განვითარებისათვის ვიზრუნოთ, მთელი წყება ქართველ ინტელიგენტთა რამდენსამე რუსულს გაზეთსა ჰბეჭდავს და გულ-მოდგინეთ ავრცელებს ქართველსავე საზოგადოებაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი-მესამედი ამ გაზეთების მკითხველთა, ქართველია. ჩვენ „განათლებულ“ საზოგადოებას უფრო ეხერხება რუსული კითხვა და რუსულად ფიქრი და ამიტომ იგი მეტის ხალისით კითხულობს რუსულს გაზეთებს, რომლებშიაც ქართულ საქმეებზეა ლაპარაკი. გვეტყვიან და გვეუბნებიან კიდეც: თუ ასეა, მაშ ეს „Отвѣчаетъ дѣйствительнымъ нуждамъ и назрѣвшимъ потребностямъ населенія“-ო. მაგრამ ასეთი პასუხი მოგვაგონებს მეთვრამეტე საუკუნის რუს-არისტოკრატ-პიერონების საქციელს, რომელთაც ყოველივე რუსული სამარცხვინოდ მიაჩნდათ და გაფრანგების საჭიროებას ჰქადაგებდნენ. ისინიც რუსულ ლიტერატურას, თეატრს, ენას „მუჟიკების“ ხვედრად სთვლიდნენ... ჩვენი რუსულ-ქართულ გაზეთების გამომცემელნი გულ-მოდგინეთ სცდილობენ რუსულ პრესის საშუალებით შექმნან ქართული საზოგადოებრივი აზრი და ვერ გაუგიათ, რომ სწორედ ამით უწყობენ ხელს ერის გადაგვარებას, უღვიძებენ და უძლიერებენ მოთხოვნილებას სხვა ენაზე ფიქრისას, სწავლისას და განვითარებისას.

რა საჭიროა ჩვენთვის რუსულ-ქართული გაზეთები? „ზაკავკაზიე“-ს პუბლიცისტები გვარწმუნებენ, რომ მეზობელთ უნდა ველაპარაკოთ მათთვის გასაგებ ენაზე და ამ გზით დავიცვათ ქართველთა ინტერესებიო. ამ უბადრუკებს მართლა ჰგონიათ, რომ ქართველ ხალხს სამსახურს უწევენ! ისიც-კი არ იციან, როგორ უნდა მეზობელ მტერ-მოყვარესთან ლაპარაკი. შექმენით და ააყვავეთ თქვენი საკუთარი ლიტერატურა, აღამაღლეთ თქვენი თეატრი, გაამდიდრეთ თქვენი ენა, განავითარეთ თქვენი ნივთიერი და სულიერი კულტურა, თქვენი შინაური ძალა და ეს იქნება ხალხის ინტერესებისათვის მღაღადებელი, მისი დამცველი და მფარველი; ეს და მხოლოდ ეს გააგებინებს მეზობელ მტერ-მოყვარეს, რომ ქართველ ერსაც უნდა ჰქონდეს ადგილი ცხოვრების მეჯლისზე; ხოლო თქვენის დამტვრეულის რუსულითა და მონურის ფრაზებით ლაპარაკს არავითარი ძალა არა აქვს.

როცა გულწრფელის მწუხარებით აღვნიშნეთ ეს უსარგებლობა და პირდაპირი მავნებლობა რუსულ-ქართულ გაზეთებისა, „ზაკავკაზიე“-მ „ოხრანიტელების“, სამარცხვინო სახელით მოგვნათლა და ვიწრო ნაციონალისტებად, შოვინისტებად გამოგვიყვანა მტერ-მოყვარეთა ფართო აუდიტორიაში. აი, ეს არის ნამდვილი სამსახური რუსულ-ქართულ გაზეთებისა! მაგრამ ამ დანიშნულებასაც ხომ უკეთ ასრულებენ ხარატუროვისა და პალმების გაზეთები? როცა ქართველი ერი სულთმობრძავი მიწასთან გასწორებული თავის ვინაობის და არსებობის დასაცველად კრინტს დასძრავს, თქვენც მოჰყევით ყვირილს— „ставьте подпорки, огораживайтесь“, თქვენც იყვირეთ საქვეყნოდ, რომ ქართველ ინტელიგენციას არა სურს არავითარი ერთობა ჰქონდეს მეზობლებთანაო. მიეცით ხელი „ტიფლისტოკსა“ და „გოლოს კავკაზას“. ჩვენი კანონიერი ჩივილი, ჩვენი სურვილი და იმედები მონათლეთ შოვინიზმად და გაიხარეთ!..

მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, ვინ ბრძანდება ახალ მიმართულების შემქნელი ინტელიგენცია: ეს იმ არისტოკრატიის ღვიძლი შვილია, რომელმაც ქონებრივად გაჰყიდა საქართველო და ჰყიდის დღესაც. მამებმა ნივთიერი სიმდიდრე გაგვიყიდეს, შვილები სულიერ სიმდიდრის გაყიდვას გვემუქრებიან...

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

17—18 იანვარი.

## არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** აირჩიეს 263 ლიბერალი. უნიონისტებს, მუშათა პარტიას და ნაციონალისტებს არ მოჰმატებიათ. პარლამენტის სხდომები დაიწყობა 8 თებერვალს.

## საზღვარ-გარედ

**ათინა.** სამხედრო ლიგის წარმომადგენელი ვენისელოსი და თეოტოკისი ჯერაც არ შეთანხმებულან, თეოტოკისმა ვენისელოს შეატყობინა, თუ ეროვნულ კრებას მოვიწვევთ, იმ შემთხვევაში სამხედრო ლიგა უნდა გაუქმდესო. სამხედრო ლიგის წარმომადგენელმა ვენისელოსმა უპასუხა: ლიგა გაუქმდეს, თუ ახალი სამინისტრო მეფეს წინადადებას მისცემს, მოიწვიოს ეროვნული კრებაო. პარტიები სთანხმდებიან ეროვნულ კრების მოწვევაზედ. ხმა დადის, მეფე წინააღმდეგი არ არის ეროვნულ კრებისაო.

**პარიზი.** ლიონის და სენ-ლაზარის სადგურები, რომისა და გავრის სადგურები და, ახლო-მახლო ქუჩები სულ წყლით აივსო. მურსიკოს საავადმყოფოდან ძლივს-ძლივობით გადაარჩინეს 400 ავადმყოფი ქალი და ბავშვი. მატროსები ნავებით დადიან ქუჩებში და დაზარალებულები სხვა ადგილას გადაჰყავთ.

**პარიზი.** პეტერბურგიდან იუწყებიან: ტყუილია, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთს და რუსეთს შეთანხმების ძირითადი დებულებანი უკვე შეემუშავებინოთ. მართალია მხოლოდ ის, რომ ორთავე სახელმწიფოები გულწრფელად არიან მოწადინებულნი ურთი-ერთ დამოკიდებულება გააუმჯობესონ. კერძოდ ლაპარაკიც კი არა ყოფილა იმის შესახებ, რომ ბალკანეთი რუსეთს და ავსტრიას გაეყოთ და თვითეულ მათგანს განსაზღვრულ ადგილში ემოქმედნათ.

**ათინა.** სამხედრო ლიგა ახალ სამინისტროს პრეზიდენტად ასახელებს დრაგუმისს. ხმა დადის, დრაგუმისმა სამხედრო ლიგას შეატყობინა, იმ შემთხვევაში ვიკისრებ პრემიერ-მინისტრობას, თუ სამხედრო ლიგა გაუქმდებაო.

**ბუდაპეშტი.** იმპერატორმა არ შეიწყნარა ხედერვერის თხოვნა სამინისტროს გადადგომის შესახებ და ახალი არჩევნები დანიშნა. არჩევნების დრო არ არის დანიშნული. ზედა პალატამ პროტესტი განაცხადა დეპუტატთა პალატის დათხოვნის წინააღმდეგ.

**ათინა.** მეფემ პარტიების ლიდერებთან და დეპუტატთა პალატის პრეზიდენტთან თათბირი გამართა, რა ზომებია საჭირო, რომ საბერძნეთში ნორმალური წეს-რიგი დამყარდესო.

**ბერლინი.** სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს ერთი აურ-ზაური გამოიწვია კონსერვატორ ოლდენბურგის სიტყვებმა: იმპერატორს ყოველთვის უფლება უნდა ჰქონდეს, აფიცერს უბრძანოს: „წაიყვანე ათი სალდათი და რეიხსტაგი დაკეტეო“. მემარცხენეები წარმოდგნენ და განაცხადეს: ოლდენბურგის სიტყვები თავხედობაა, კონსტიტუციის დარღვევაო. ნაციონალ-ლიბერალების, ცენტრის და თავისუფალ მოაზრეების ლიდერებმა პროტესტი განაცხადეს, ოლდენბურგის სიტყვები კონსტიტუციის დარღვევააო. ოლდენბურგმა განაცხადა: მე მინდოდა მომეყვანა იმის მაგალითი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინა კონსტიტუციაზედ მაღლა უნდა იქმნეს დაყენებულიო. ოლდენბურგის ამ სიტყვებმა უფრო აურ-ზარი გამოიწვია. სოციალისტმა საკსემ დაიყვირა: ძირს თავმჯდომარე გოგენლოე“-ო. ლედებურგმა სთქვა: პრინცი გოგენლოე მშიშარაა, გამჭრიახობა ვერ გამოიჩინაო. გოგენლოემ შენიშვნა მისცა საკსეს და ლედებურგს, ლედებურგმა პროტესტი განაცხადა ამასდა დეპუტატებმა კენჭი უყარეს საკითხს, თავმჯდომარემ სამართლიანად მისცა შენიშვნა ლედებურგს თუ არაო.

**ვენა.** ჰუნგრეთის პრესა ჰკიცხავს ხედერვერს დეპუტატთა პალატის სხდომების გადადებისთვის და სწერს, რომ მთავრობა კონსტიტუციონური არ არისო. კოშუტის, ანდრაშის, სახალხო და კათოლიკეთა პარტიების გაზეთები სწერენ, ხედერვერმა ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ ჰუნგრეთი მალე ვეღარ დაშოშმინდებაო.

**სალონიკი.** ფლორინის ოლქის რაზმების უფროსად ნამყოფებმა (სამმა კაცმა) მონასტირის გუბერნატორს შეატყობინეს. რადგან მთავრობა სისტემატიურად სპობს ყოფილ რევოლუციონერებს და გარანტია არ არის, რომ ვინმეს ეჭვით სიცოცხლეს არ მოუსპობენ, ჩვენ მთებში მივდივართ და არალეგალურად ვიცხოვრებთო.

**ლონდონი.** სტოკსვეტს ახლო ლიანდაგიდან გადავარდა ჩქარი მატარებელი. მოკვდა 10, მძიმედ დაშავდა 20 მცხოვრები.

**პეკინი.** რუსეთის ელჩს მოლაპარაკება ჰქონდა ჩინეთის მთავრობასთან ცზინჯოუ-ციციკარ-აიგუნის რკინის გზის შესახებ. ჩინეთს განზრახული აქვს ამ რკინის გზის გაყვანა მიანდოს ამერიკელებს. რუსეთის ელჩმა გადასცა ჩინეთის მთავრობას, რომ რადგან ეს რკინის გზა რუსეთის ინტერესებს ეხება, ამიტომ ამ საკითხში რუსეთის აზრსაც უნდა ანგარიში გაუწიოთო. იაპონიის ელჩმა განაცხადა, იაპონიაც დაინტერესებულია ამ საკითხში და სურს მონაწილეობა მიიღოს ცზინჯოუ-ციციკარ-აიგუნის რკინის გზის გაყვანაშიაც.

**ათინა.** მეფემ პარტიების ლიდერებთან სამი საათი ითათბირა. მეფემ ლიდერებს მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა დეპუტატების სამმა მეოთხედმა უნდა მოითხოვოს და ისიც ორი დეპუტატთა პალატის სესიის განმავლობაში. თეოტოკისმა განაცხადა, თუ გვინდა საბერძნეთში ნორმალური წესი დავამყაროთ, ეროვნული კრება უნდა მოვიწვიოთო. მას მხარი დაუჭირეს დრაგუმისმა და რალლისმა. მეფემ განაცხადა, ეროვნულ კრების მოწვევაზედ ვფიქრებ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კონცენტრაციონული სამინისტრო უნდა შესდგესო. თეოტოკისმა და რალლისმა სთქვეს, რომ ამისთანა სამინისტროს შედგენა ყოვლად შეუძლებელიაო.

**კრაკოვი.** სასამართლომ გაარჩია იანინა ბაროვსკაიას საქმე. ბრალდებოდა თავის ვექილის ლევიცკის მოკვლა. ბაროვსკაიას პროვოკატორობა ბრალდებოდა და დამცველად ლევიცკი უნდა გამოსულიყო, მაგრამ მალე ბოროვსკაიამ ლევიცკი მოჰკლა. სასამართლომ გაამართლა ბოროვსკაია. პროკურორმა პროტესტი განაცხადა. ბოროვსკაია არ განთავისუფლებიათ.

**მადრიდი.** ფორკუბიანის ყურეში კლდეს დაეჯახა რუსეთის გემი „მარია“. გემი დაიღუპა. მოსამსახურეები გადაარჩინეს.

**ვენა.** მთავრობამ მოიწვია ბაგემის სეიმი. თუმცა გერმანელების და ჩეხების დელეგატები ვერ შეთანხმდნენ.

**თეირანი.** სიკვდილით დასჯილ მოვაგარ-უს-სალთანეს დაბეზღებით დააპატიმრეს ემინულმულკი, სასახლის მინისტრად ნამყოფის შვილი. მოვაგარის მამა აძლევს მეჯლისში წერილი შეეტანა, მადლობელი ვარ, რომ ჩემი შვილი დასაჯეს და საზოგადოებას უვარგისი წევრი მოაშორესო.

**თეირანი.** მთავრობაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის და რუსეთის ელჩების პროტესტმა, მოვაგერ-უს-სალტანეს ბარბაროსულად დასჯის გამო. სატუსაღოში დაამწყვდიეს ფიდაი, რომელმაც მოვაგრის გვამს შეურაცყოფა მიაყენა. გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა რუსეთის ელჩი და განუცხადა, ძალიან ვწუხვართ, რომ მოვაგერი ესე ბარბაროსულად დავსაჯეთო.

**თეირანი.** ფინანსთა მინისტრმა მეჯლისში შეიტანა კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტით ფინანსთა რეფორმების მოსახდენად უნდა მოწვეულ იქმნეს 7 ფრანგი სპეციალისტი. მეჯლისმა საჩქაროდ იცნო ეს კანონ-პროექტი და საბიუჯეტო კომისიას გადასცა.

# ქართული საისტორიო მწერლობა

(მეორე ლექცია ივ. ჯავახიშვილისა).

როგორც აღვნიშნეთ,*) მეცხრე და მეათე საუკუნოების მიმართულება ქართულ მწერლობაში, სხვათა შორის, ორი ერის შორის ბრძოლის შედეგი იყო. საქართველოს და სომხეთის შორის ბრძოლამ შექმნა ის საისტორიო თხზულებანი, რომელნიც თავიდან ბოლომდის ეროვნულ მიმართულებით იყვნენ გამსჭვალულნი, მაგრამ მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საუკუნოებში ბრძოლა არსებობდა მარტო სომხეთა და ქართველთ შორის კი არა, არამედ ბიზანტიისა და საქართველოს შორისაც, ბერძენთა და ქართველთ შორისაც. ამ უკანასკნელ ბრძოლას ქართულ ეროვნულ თვით-შემეცნების განმტკიცებისათვის გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე ქართველთა და სომხეთ მეტოქეობას, იმიტომ რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრძოლა იყო ორ ერს შორის, რომელნიც სხვა და სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი იყვნენ, ხოლო პირველ შემთხვევაში ბრძოლა იყო ორ ერთმორწმუნე ერთა შორის.

ბერძენთა ეკკლესია და სახელმწიფო სამაგალითო იდეალად იყო მიჩნეული წინად საქართველოში. დასავლეთ საქართველო: ტაო-კლარჯეთი, სამცხე და აფხაზეთი ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყო მერვე საუკუნიდან მოყოლებული, მაგრამ როცა აქ ქართველობამ ზურგი გაიმაგრა და არაბების წინააღმდეგ ბრძოლა შესძლო, თან და თან დაიბადა საქართველოს გაერთიანების სურვილი და მის წრაფვებაც. მე-9—11 საუკუნოების საქართველოს ისტორია წარმოადგენს სწორედ ბრძოლის ბანაკს, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა ყველა ტომის მთავრები და მეფეები და თვითეული მათგანი უპირატესობას და გაერთიანებულ საქართველოს ბატონობის მოპოვებას სცდილობდა. რასაკვირველია, ამ დროს ქართველებს უკვე უნდა დაჰბადებოდათ სურვილი ბიზანტიის მფარველობისაგან თავის დაღწევისა და ყოველთვის სცდილობდნენ კიდევაც ეს თავიანთი გულის ნადები განეხორციელებინათ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა პოლიტიკური ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის.

მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლის გარდა თვით ბიზანტიაში, როგორც ეტყობა, გამწვავებული ურთიერთობა იყო ქართველ და ბერძენ სამღვდელოებასა—მონაზონთა შორის. ამის შესახებ საუცხოვო ცნობები მოიპოება **იოანნესა და ექვთიმეს ცხოვრებაში,** რომელიც ეკუთვნის **გიორგი მთაწმინდელის კალამს** საბინინის „საქართველოს (მე-11 საუკ. დაბეჭდილია) სამოთხეში“ და საეკკლესიო მუზეუმის გამოცემაში, თუმცა უცნაურის სათაურით „ათონის კრებული 1072 წლისა“ აგრეთვე თვით **გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში,** რომელიც დაწერილია იმის მოწაფის მიერ (დაბეჭდილია ზემოყვანილ ორსავე გამოცემაში). ბერძენთა და ქართველთ გამწვავებული ურთიერთობა საუკეთესოდ გამოიხატა ათონის, პეტრიწონისა, შავი მთისა და ჯვარის მონასტრის ქართველ ბერების იმ დადგენილებაში, რომლის ძალითაც არც ერთი ბერძენი ბერი ქართულ მონასტერში არ უნდა ყოფილიყო მიღებული. ბერძენი ბერები და სამღვდელოება ბიზანტიაში მცხოვრებ ქართველ ბერების წინააღმდეგ სხვა და სხვა გვარად იბრძოდნენ. ერთის მხრით ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველები მართმადიდებელნი კი არა, მწვალებელნი არიან, მეორეს მხრით უარს-ჰყოფდნენ ქართველ ეკკლესიის დამოუკიდებელ არსებობის უფლებას. ორივე ბრალდება ქართველ ბერებს უნდა საბუთიანად დაერღვიათ. ამან გამოიწვია ქართულ ძველ საეკკლესიო მწერლობის და საეკკლესიო ზნე-ჩვეულებების ბერძნულთან შედარება და შესწორება. ამანვე გამოიწვია საისტორიო კვლევა-ძიება ქართულ ეკკლესიის დაფუძნების ისტორიის გამოსარკვევად.

იოანნესა და ექვთიმეს და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება სწორედ ამ ხანის გამომხატველი და დამსურათებელია. იოანნესა და ექვთიმეს ცხოვრება ეკუთვნის, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმინდელს, ხოლო დაწერილია ქართველ ბერების საერთო გადაწყვეტილებით, იმიტომ რომ ივერთა მონასტრის ბერძენთა მიერ წართმევის შემდეგ ქართველებს შეეშინდათ, ვაჰ თუ მათის მონასტრის დამაარსებელთა ხსენებაც კი გამქრალიყო.

გიორგი მთაწმინდელი თავისს ნაწარმოებში აღნიშნავს, რა და რა საბუთებზეა დამყარებული მისი ნაწარმოები: ყოველ მხრივ სანდო და უტყუარ პირთა ზეპირ გადმოცემაზე ან მათ მოღვაწეობის ნაშთებზე (ლავრა და სამონასტრო შენობანი, სამონასტრო და საეკკლესიო ქონების და მამულების ნუსხები, მათ მიერ ნათარგმნი თხზულებანი და მათის მოღვაწეობით აყვავებული ქართული ენა). ერთის სიტყვით, იმგვარივე საბუთებით უსარგებლნია, რომლითაც სარგებლობს თანამედროვე საისტორიო მეცნიერება, მაგრამ საშუალო საუკუნეში ამგვარი მაგალითი არა თუ მარტო ქართულს, ბერძნულ, სპარსულ და არაბთა საისტორიო მწერლობაშიაც იშვიათი მოვლენაა. გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოების ყველა ცნობა უტყუარ საბუთებზეა დამყარებული და მტკიცდება როგორც ქართველ, ისე სხვა ერთა ისტორიკოსების ცნობებით. ამ მხრით მისი თხზულება საუცხოვო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, გიორგიდვე წოდებული, რომელმაც თავის მასწავლებლის ცხოვრების აღწერილობა დაგვიტოვა, ყველაფერში მასა ჰბაძავს. ამას გარდა, მან თავის მხრივ პირველად ქართულ მწერლობაში შეიტანა **შედარებითი მეთოდი.** მართალია, მისი შედარება მხოლოდ საეკკლესიო ისტორიის მწერლობაზეა დამყარებული, მაგრამ მაინც საყურადღებოა, როგორც პირველი ნიმუში ამგვარ მეთოდის ხმარებისა. ეს თხზულებაც მეტად შინაარსიანი ნაწარმოებია და სრულის ნდობის ღირსი, როგორც უცხო და სხვა ქართულ თხზულებებთან შედარებიდანა სჩანს. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის გულწრფელი და ღრმა გრძნობა, რომელთაც გამსჭვალულია მისი ნაწარმოები თავიდან-ბოლომდის. მისი გოდება გიორგი მთაწმინდელის სიკვდილის გამო ისეთი მშვენიერი და მომხიბლავია გულწრფელობითა და ღრმა გრძნობით, რომ ქართულ მწერლობაში ბადალი არა აქვს.

— მეთერთმეტე საუკუნეშივე მოღვაწეობდა ჩვენი შესანიშნავი მეცნიერი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი **ეფრემ მცირე.** ეფრემ მცირე ამტკიცებს, რომ საისტორიო თხზულებები შესაძლებელი იყო ორგვარის ენით დაწერილიყო ან ლიტონისა და მდაბიო ენით ან არა და საისტორიო ხელოვნურ, ლიტონულ ენით. თვით იგი დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერ ისტორიკოსს უეჭველად ხელოვნურისა და ისტორიულის კილოთი უნდა ეწერა და ჰფიქრობდა, რომ ძველ მარტვილთა და წმინდათა ცხოვრებანი იმიტომ არის მდაბიო ენით დაწერილი, რომ მათი აღმწერი გაუნათლებელი, უბრალო თვალით მხილველი მონები იყვნენ. ეფრემ მცირე დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ მდაბიო ენით თხზულებების გადაკეთება შეიძლებოდა და ნება დართული იყო მხოლოდ იმ პირობით, რომ გადაკეთების დროს თვით თხზულების აზრი და შინარსი არ შეცვლილიყო. ეფრემ მცირის ამგვარი შეხედულება დიდ-მნიშვნელოვანია და ყველა სხვის თხზულებების გადამკეთებლებს რომ ამ შეხედულობით ეხელმძღვანელა, მაშინ ხელმეორედ გადაკეთებულ მარტვილობასა და წმინდათა ცხოვრებას ისტორიული ფასი და მნიშვნელობა არ დაეკარგებოდა.

ეფრემ მცირესა აქვს დაწერილი გამოკვლევა ბერძნულ წყაროების მიხედვით, თუ როდის და როგორ მიიღო საქართველომ ქრისტიანობა და დამოუკიდებელი საეკკლესიო მართვა-გამგეობა. ბერძნულ წყაროებზე იმიტომ იყო დამყარებული ეფრემ მცირის თხზულება, რომ ბერძნებთან პაექრობის (დისპუტის) დროს გამოსადეგი ყოფილიყო. ეს თხზულება ეფრემ მცირისა საუცხოვოდ არის აღსრულებული და იმ დროისთვის პირდაპირ გასაოცარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეფრემ მცირის ნაწარმოები **„უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“** დაბეჭდილია ბ-ნ ექვთ. თაყაიშვილის მიერ—„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“-ში და ბ-ნ ჟორდანიას ქრონიკების პირველ ნაწილში.

*) იხ. „დროება“ N 12.

# მარიამ საფაროვ-აბაშიძისა

მიყვარს ჩემი ქვეყანა და მიხარიან, როდესაც თავ-განწირულ მუშაკსა ვხედავ. დასაფასებელიც არის ის ადამიანი, რომელიც ძალ დონეს არა ჰზოგავს და მუდამ მზად არის თავის ერს ემსახუროს, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა. ხანში შესული ადამიანი ვარ, მაგრამ ჯერ ისე არ დავუძლურებულვარ, რომ წარსული ვეღარ მოვიგონო და აწმყოსაც ვერ გადევნებდე თვალს.

მახსოვს და თვით მოწამეც ვარ, ამ ოცდა-ათი წლის წინად როგორ დაარსდა ქართული დასი. ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებდნენ დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი და სხვები. იმათის მეცადინეობით შესდგა ქართული დასი. მონაწილეობას იღებდნენ უკვე წინადვე გამოცდილი სცენის-მოყვარენი: ბაბო ავალიშვილისა, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ბარბარე კორინთელი-ყიფშიძისა, კოტე მესხი, მერკულოვის ქალი, შიშნიაშვილი და მე, მარიამ ყიფიანი-ქართველიშვილისა.

იმ ჟამად დასში ჩაწერის სურვილი გამოაცხადა კიდევ მაკა საფაროვ-აბაშიძისამ. თეატრის გამგეობამ მიიღო. დასდგეს კომედია, მოლიერის პიესა. საფაროვის ქალს არგუნეს მცირე როლი, გოგოსი. დაიწყო რეპეტიციები. კარგად მახსოვს, ჩვენმა ერთ დროს სცენის ვარსკვლავმა (იმ დროს ასე ეძახდნენ საფაროვის ქალს), რა გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა. თვით იმის გვერდში მდგომნი აღტაცებულნი ვიყავით იმის ხელოვნურ თამაშობით. რეპეტიციები გათავდა. კომედია უკვე მომზადებული იყო. აიხადა ფარდა. ხალხის წინაშე წავედით მოთამაშენი. საფაროვის ქალმა იმ თავის პატარა როლით დიდი ქება და ვაშა დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებისაგან.

იმ დღიდან დაწყებული ოცდა ხუთი თუ ექვსი წელიწადი მაკა ქართულ სცენის ვარსკვლავი, დამშვენი მზე, მთავარე, ძალა და დონე იყო. ასე სწერდნენ, ვინც რას სწერდა და ასე ამბობდნენ, ვინც ვერას სწერდა.

როცა მაკა უკვე ქართულ სცენის ვარსკვლავად იცნეს, გაჩნდა ორიოდე თვე, რომ ქალაქ გორიდან მოიწვიეს ჩვენი ნატო გაბუნია-ცაგარელისა. ბედმა მოჰხედა ქართულ თეატრს. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; რადგან ქალთა შორის მაკას თანასწორი ადგილი თავის ნიჭით დაიჭირა ნატომ.

აი, შესრულდა ოცდა ათი წელიწადი, რაც ნატო სცენაზე მოღვაწეობს ტფილისში და დროგამოშვებით სხვაგან—გორში, ქუთაისში, განჯაში, ბათუმში, ბაქოში. მოგესწარით სანატრელ დროსაც: ოცდა ათი წლის მოღვაწეობა ნატოსი ერმა დააფასა, იდღესასწაულა დიდებით. სასიხარულოა და გვხარობთ კიდეც, რომ ჩვენი სცენის მუშაკის მოღვაწეობა ასე დააფასეს. ამის შემდეგ რამდენი წახალისდება

ერის სამსახურისთვის. დიახაც, უნდა ჩაინათონ გულსა და სულში ნატოს სამსახური და ძალ-ღონე შემოიკრიბონ ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად, მაგრამ მეშინიან, იმავ მუშაკთ გული არ ეტკინოთ, გული არ დაეზრდილოთ, შიშმა არ გაუდგოთ და გულის ტკენით არა სთქვან: ნატოს რომ ია და ვარდს უფენენ, სათვალთვის ქალს ერთ დროს სცენის ვარსკვლავს რადით ივიწყებენ? ნატო და მავა ხომ—ვაჟაფშაველასი არ იყოს—დები იყვნენ, ღობილნი, ერთმანეთის სწორნი. ნუ თუ ერმა უნდა გაიხსენოს ერთი და დაივიწყოს მეორე? არ მინდა ეჭვი შევიტანო იმ ერზე და იმ პირებზე, რომელნიც ნატოს ქება-დიდებას უძღვნიდნენ, ია-ვარდს უფენდნენ, მატერიალურად დახმარებას უწევდნენ, რომ თავიანთი გული, გრძნობა და სამართლიანობა სათვალთვის ქალზე ჩაიქრონ და იმავ ადტაცებით არ დაათვასონ მისი მოღვაწეობა.

**მარიამ ყიფიანი-ქართველიშვილისა.**

## მზე-ასული

შავი სევდის ნაპერწკალი
სატრფოს თვალებს მომაგონებს;
მთვარის შუქის ნაზი ქსელი!
ხან მალხენს და ხან მალონებს.
ივერიის მზე-ასული
სალამო ჟამს ჩანგს დამღერის;
თვით ნათელი, ნათლის სულით
სასურველსა შორით ელის.
გამსჭვირვალე, ლაჟვარდი ხარ
ყვავილების დედოფალი;
შემიწირე, მსხვერპლად დამწვი,
სულის ხმა გთხოვს იდუმალი.

***

მუსიკას ჰიმნი მესმოდა სადღაც,
ფოთლის შრიალი მიმღერდა ნანას;
მე მაშინ ვიშევ, როს შავი ნისლი
ჯერ არ გაწყრომდა ბედკრულ ქვეყანას.
თითქოს, იმ დღიდან მიყვარდი უკვდავს,
შენთან დრო დავყავ შეუშფოთებლად;
ის იყო ჩვენი ტკბილი სიზმარი,
აწ სანეტარო მოსაგონებლად.
ეხლაც, როს გიმზერ, აქ აღარ ვცხოვრობ,
სულ სხვას მიხატავ უცხო სამყაროს;
სოფელს ვშორდები და ზექვეყნისკენ
მიმიწვევ, მივქრი შვების სამთავროს.

***

მწვერვალზედ ვიდექ—მაგონდებოდი,
ბარად კი შენი კვნესა მესმოდა;
დაშორებულსა არ მშორდებოდი,
ბრწყინვალე სახე მელანდებოდა.
და შემოცურდა ნისლი ზღვის კიდით,
შემომეხვია ჩუმად, სიფრთხილით;
თანა მკოცნიდა ნელის ჩურჩულით,
თან გულს მიწვავდა ვნებასურვილით.
თუ სხვა არსი ხარ—რად სცხოვრობ ჩემში?
და თუ ჩემი ხარ—ტანჯვა მაკმარე;
ოჰ, რად იფარავ ბინდის მკრთალს ლეჩაქს,
მზეო-ასულო, გამომედარე!

***

ერთსა მშვენიერს ოქროს გალიას
მყვანდა ბულბული დატყვევებული;
დილის რიჟრაჟზე განთიადისას
თრთოდა, კვნესოდა გულით ვნებული.
ხან ყურადღებას არც კი ვაქცევდი,
ოდეს ტანჯული იბნიდებოდა;
მე ერთს მეტრფოდა, შემომხაროდა,
ჩემთვის საბრალოდ იცრემლებოდა.
ჟამსა შვებისას ვყავ უგულებელ,
მან უკლო სტვენას, მოსწყდა მხნეობას,
ჩემმა მკობელმა დალია სული,
რა ვერ გაუძლო სასტიკ ტყვეობას.

—

მეც ბულბული ვარ და შენ გიგალობ;
ვიცი დამტანჯავ, დღეს ჩამიმწარებ;
შენს ტყვეობაში სულსაც ამომხდი,
შემდეგ შავს მიწას, ვაჰ, მიმაბარებ.

***

ლოგინად ვიწექ უსიცოცხლო, მისუსტებული
და ღონე-მიხდილს ძლივს მიცემდა მთრთოლვარე გული;
სიკვდილის პირას შორს სამარე მეხატებოდა,
ვიყავ მარტოკა და სიჩუმე თავს დამტიროდა;
ბურანში წაველ... მომელანდა სახე მღიმარი,
მომიახლოვდა ქალი ტურფა, ოდნავ მჩინარი,
ცრემლი შემიშრო გიშრის თმითა, გულს დამეკონა,
წყნარად გადმომცა სიყვარულის უჭკნობი კონა.
ალვზედ, ალვენთე! კვლავ დავმღერე სამხიარულო,
ახ, რად დამიხსენ სიკვდილისგან, მზეო-ასულო?!

**ა. შანშიაშვილი.**

## ვეძახი სიკვდილს!

ვინ მოსთვლის, ნეტავ, თუ სად არ რა არ მინახავს, სად არ ვიარე, — | ვიყავ,
მხოლოდ ნაღველი ნორჩი გულისა
ჯერ კიდევ ვერვის გავუზიარე!..

***

უცხოა ჩემთვის ღიმილი მთიმის,
არ მეკარება შვებისა სხივი;
სატრფოდ თვალთმაქცობს... მისი გულმკერდი
ვით მყინვარის მთა ცივია... ცივი!..

***

უხმოდ ჩავიკალ ამონაკვნესი,
გადავეხვიე სადღაცვის აზრდილს...
დავსუსტდი, აღარ ვარ... ვიღუპვი, ვქრები...
სასო-მიხდილი ვეძახი სიკვდილს!..

**ი. გრიშაშვილი.**

## შენ მიხვალ!

შენ მიხვალ, სატრფოვ ჩემი სულისა
და მე აქ მტოვებ ობლად, უტოლოდ!..
მომიკვდებიან სიცოცხლის დღენი
და ჩემგან კვნესას გაიგებ მხოლოდ!..
სადაც-კი წახვალ, ყველგან გამყვება
და სულს დამიღრღნის სევდის სამსალა;
თვით ბედი მკვლელად გადამექცევა,
ბოლოს მომიღებს განგების ძალა!..
შევნება დამის, შუქ-მოფენილის,
ვეღარ მოხიბლავს ჩემს არე-მარეს
და ჭაბუკობის ვარდის ვარამიც
ვერ შეედრება ჩემს სიშწუხარეს!..

—

დასჭკნა ფოთოლი შემოდგომის ჟამს,
ჭკნის ნიავ-ქარი გულის მომკვლელი;
ასევე გეჭკნები ერუ უდაბნოში,
მიდით, მიშველეთ, მომეცით ხელი!
არარაობა იპყრობს გონებას,
სიკვდილს დავეძებ, არ მეკარება;
ნელ ცეცხლზე ვიწვი ხანგრძლივ სატანჯად
და ასე მიდის ჩემი ცხოვრება...
ნუ თუ ვერ განახავ, თვალთა ნათელო,
ვერ გავიგონებ შენს ხმას ნარნარსა;
ნუ თუ ერთ წუთით არ გაუღიმებ,
ობლად დარჩენილ ჩემს ბედ-კრულ ქნარსა!..

—

მსურს დავივიწყო, მაგრამ გონებას
შენს მეტი კიდევ რა აგონდება?!..
ოცნების თვალით გიმზერ ჩემსა ღმერთს
და გული კრულდი სტირს და ღონდება!..
დამიახლოვდი, ცრემლი შემიშრე,
მომეც ნუგეში შენთვის მტირალსა;
ნუ თუ ვერ ხედავ ჩემსა კაეშანს
გულის წიაღით გამომზირალსა?!...
დღეო ნათელო, შენ ასე ბნელი
ჩემთვის აროდეს არა ყოფილხარ
და სევდავ, მწუხარევ, ასე ზვიადად
ჩემს სულში სხვა დროს არა მობინადრებულხარ!...

**ახოსპირელი:**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **აკაკი წერეთლის ჩამოსვლა.** აკაკი წერეთელი უკვე დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან. ამ ჟამად იგი ბაქოშია, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფს და მერე ტფილისს ჩამოვა.

✦ **ავტომობილების მიმოსვლა.** ამ ცოტა ხანში დაიწყება ავტომობილების მიმოსვლა სოჩსა და სოხუმს შორის. (ქ. ო.)

✦ **ფულის გაფლანგვა.** როგორც „კავ." ს ატყობინებენ, ოლთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეს ბოგატირევს 13 ათასი მანეთი გაუფლანგავს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **მკვლელობა.** 16 იანვარს ბაქოში ნობელის სამრეწველოების მაშინისტს პერიკუსს მოუკლავს სამრეწველოების გამგის თანაშემწე ციკული და მაშინისტი მოშკოვსკი, მერე თითონაც მოუკლავს თავი.

✦ **სომხეთა სინოდი და არქიმანდრიტი მურადიანი.** „ბაკუ"-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ, სომხეთა სინოდმა ოდესის გრადონაჩალნიკს სთხოვა, ეჩმიაძინში ძალით გაგზავნოს არქიმანდრიტი მურადიანი, ყირიმის ერთ მონასტრის წინამძღვარი, რომლისთვისაც სინოდს რამდენჯერმე უთხოვნია ეჩმიაძინში ჩასვლა, მაგრამ მას უარი შეუთვლია.

✦ **შუამდგომლობა.** თუაფსეს ქალაქის თვითმმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ქალაქებს ნება მიეცეს, სახაზინო დაწესებულებებისამებრ, საჭიროების დროს საჯარო ვაჭრობით გაჰყიდონ ხოლმე ქონება თუ მამული, ამასთან თვითმმართველობას უთხოვნია ამიერ-კავკასიის ქალაქებისთვის, შეუერთდნენ იმის შუამდგომლობას. ტფ. ქალაქის გამგეობამ 15 იანვარს დაადგინა, წარუდგინოს მოხსენება ტფ. ქალაქის საბჭოს.

✦ **უფასო ბილეთები.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო ქალაქის მოხელეებისათვის დასარიგებლად ტრამვაის უფასო ბილეთები, სულ 250 ცალი.

✦ **თავის განებება.** წ.-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრმა და თავმჯდომარის ამხანაგმა ბ-ნმა ი. ს. ღულაძემ თავი დაანება ამ თანამდებობას.

✦ **ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება.** კვირას, 17 იანვარს, ბირჟის სადგომში მოხდა საზოგადო დამფუძნებელი კრება ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებისა. კრებამ განიხილა ახლად დამტკიცებული წესდება. წესდების გაცნობას სხდომა კარგა ხანს მოუნდა, ასე რომ ამ კრებისათვის დანიშნულ სხვა საქმეების განხილვა ვერ მოასწრო. მიიღეს ხარჯთ-აღრიცხვა. თავმჯდომარეს ჯამაგირი 50 მანეთით შეუმცირეს. კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, 24 იანვრისათვის.

✦ **თავის მოკვლა.** 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სამსახურს გარეშე მყოფმა საინტენდანტო მოხელემ მიხეილ იაგორის ძე სალათელოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაასვენეს. სალათელოვს შემდეგი ბარათი დაუტოვებია: „ხანგრძლივ ავადმყოფობამ მაიძულა გადამეწყვიტა თავის მოკვლა და მით შემემოკლებინა დღენი ჩემი ტანჯვისა. ამიტომ გთხოვთ, ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ".

✦ **ცარცვა-გლეჯა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, კვირას, 17 იანვარს, სოფელ კულისკარში (ზუგდიდის მაზრა) უცნობები თავს დასცემიან გლეხს. ბოროტგანმზრახველებს გლეხის სახლისთვის ცეცხლი წაუკიდნიათ, ცოლი მძიმედ დაუჭრიათ, თვითონ ცეცხლში ჩაუგდიათ და გაქცეულან.

✦ **საფუთო გადასახადი.** 15 იანვარს ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება ხმ. გ. ი. ხატისოვისა რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის დადების შესახებ. გამგეობამ სახეში მიიღო ის გარემოება, რომ რკინის გზის მისავალ ქუჩებს მოკირწყვლა სჭირდება, რაზედაც ქალაქი დიდ ფულს ხარჯავს, დაადგინა, შეიტანოს მოხსენება საბჭოში, რომ ხელმეორედ აღიძრას შუამდგომლობა საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ.

✦ **ეგზარხოსი ინოკენტი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: საქართველოს ეგზარხოსი გამოემშვიდობა ტამბოვის სამწყსოს. სამღვდელოებამ ინოკენტის ძვირფასი კვერთხი მიართვა. სადამოთი ადგილობრივმა მთავრობამ, მოქალაქეებმა და ვაჭრებმა ინოკენტის ვახშამი გაუმართეს და მიართვეს ძვირფასი პანაგია და ადრესი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ხმოსნის სარქისოვისა, ავლაბარში ქალაქის საავადმყოფოსთან ქალაქის ათთაიქის განყოფილების გახსნის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, წარუდგინოს საბჭოს მოხსენება ავლაბარში ქალაქის ათთაიქის განყოფილების დაარსების შესახებ, რისთვისაც უნდა აღიძრას შუამდგომლობა.

✦ დღეს, 19 იანვარს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია სხდომა ქართულ ნაციონალურ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის ამგებ კომისიისა.

✦ 16-17 იანვარს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: გოლოვინის პროსპექტზე ვერა სულხანოვის სამრეცხელოში დააპატიმრეს პროფესიონალური ქურდი კავკაველი მიხეილ ლარიონოვი და პასუხისგებაში მისცეს. ერევნის მოედანზე დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე რუბენ ავალოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. ამავე მიზეზით დააპატიმრეს დავით ნიაზოვი. პოლიციის მე-5 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 21 უპასპორტო კაცი. 17 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ეჩმიაძინის ქუჩაზე დასჭრეს დანით ზურგში გასპარ ანდრეევი. დამჭრელი არშაკ ბაღდასაროვი დააპატიმრეს. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ამავე დღეს ნორიოს ქუჩაზე ვიღაცამ დანით მუცელში სასიკვდილოდ დასჭრა ტფ. მოქალაქე ალექსანდრე კურილნიკოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. კურილნიკოვის დაჭრა რომანტიულ ნიადაგზე მომხდარა. პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს 12 უპასპორტო კაცი.

✦ ვერის დაღმართზე ქალაქის მუშები ხეებს ასუფთავებდნენ და ზედ-მეტ ტოტებს სჭრიდნენ. ხის ტოტი დაეცა ელექტრონის მავთულებს და გასწყვიტა. ამის გამო მცირე ხანს ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შესწყდა.

## მოწერილი ამბები

**სურამი.** „წლევანდელისთანა ზამთარს არ მოგვსწრებივართო", ბევრჯელ უთქვამთ სოფლელთ და მართალიც არის. შემოდგომა ისე მიიწურა, ზამთარი ისე დადგა, რომ საგრძნობი სიცივე არა ყოფილა. რაც შეეხება თოვლს, მისი სახსენებელი ხომ სრულიადაც არ ყოფილა ბოლო დრომდის. ამ ბოლო ხანში კი მცირედ წამოთოვა. იმას რადა დაპარაკი უნდა, რომ წარსული წელი ვერ იყო დოვლათიანი: ჭირნახული საკმაო არ მოვიდა. წარმოიდგინეთ, თივაც კი გასწყდა. სოფლელნი მეტად დაღონებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ საქონელი უჭმელობით დაეხოცებოდათ. მაგრამ განგებამ არ გასწირა ისინი: საქონელი შემოდგომიდან დაწყებული ქრისტიშობისთვის მიწურულამდე მინდორ-ველზე დაუდიოდათ, რადგან არც თოვლი იყო, არც ყინვა, ბალახი კი საკმაო. წარსულმა წელმა ერთი-ერთი საგულისხმიერო მოვლენაც გვარგუნა: პური ძლიერ გაიაფდა, სამაგიეროდ ღვინო ერთიასამად გაძვირდა.

სადგილ-მამულო საკითხი სურამის მიდამოებშიაც თავს იჩენს. „ხიდოკები" აქეთ მხარეებსაც სწვევიან და სწვევიან შეძლე მემამულეებს. ადგილობრივი მემამულენი, რომელნიც ნადიმზე სამშობლოს სადღეგრძელოს სვამენ, არ არიან წინააღმდეგნი ქართველ გლეხებს პირიდან ლუკმა გამოაცალონ და მოსულებს გადააყლაპონ. რამდენისამე მათგანს პირადად ჩემთვის უთქვამს, რუსები ორჯერ მეტს გვაძლევენ ადგილობრივ გლეხებზე და რატომ არ უნდა მივყიდოთ მამულიო. ამ ჟამად იყიდება საკმაოდ მდიდარი ადგილები ხხეიძეებისა, ეს ადგილები სოფლელთათვის იგივეა, რაც წყალი თევზისათვის. იტრია, ზეკოტა, ჩუმათელეთი ხხეიძეების ადგილებით სცხოვრობენ. თუ მართლა ეს ადგილები რუსებს დაუთმეს, საქმე მეტად გამწვავდება. ხხეიძეების ოჯახუნი ინტელიგენტი კაცია და უნდა ესმოდეს, რომ ასე გაწირვა ხალხისა არ შეიძლება. საჭიროა ადგილობრივ მკვიდრთ მოურიგდეს. თავ ად-აზნაურობასა და გლეხებს შორის უნდობლობაა, ამიტომ კარგი იქნება მამულების ყიდვა-ძებნაში შუა კაცობა იკისროს სურამის ინტელიგენციის გულშემატკივარმა ნაწილმა. უფრო კარგი იქნება სურამში დაარსდეს წრე, რომელიც ეცდება—გაიგოს სად და რამდენი დესეტინა მიწა იყიდება და შუაკაცობას გასწევს გამყიდველებსა და მყიდველ სოფლელებს შორის. ასეთ წრეში რამდენიმე შეგნებული გლეხიც უნდა შეიყვანონ.

ახალმა წელმა სოფელს კეთილი საქმე მოუტანა: გააუქმეს მთავრობის მამასახლისების თანამდებობა ზოგან, სხვათა შორის, სურამშიაც. ეხლა ბევრს მოუხსენებს, რას წარმოადგენდნენ მთავრობის მამასახლისები. სხვას რომ თავი დავანებოთ, ქვემო მოყვანილ ცხრილიდანაც ნათლად დაინახავთ, რა ეხარჯებოდა სოფელს მთავრობის მამასახლისების დროს და დაეხარჯებათ ახლა, როდესაც ამორჩეული მამასახლის იქნება. ეძლეოდათ: მამასახლისს 360 მ., მწერალს—360 მ., სამ სტრაჟნიკს—900 მ., ორ გზირს—480 მ., საკანცელარიო—100 მ., შემთხვევითი ხარჯი—60 მ. (ეს ხარჯი ეხება მარტო მამასახლისის შტატის და მის კანცელარიის შენახვას წლიურად). სულ—2260 მ. ახლა კი იქნება: მამასახლისს 360 მან., მწერალს—360 მან., ორ გზირს—360 მ., საკანცელარიო—100 მან., შემთხვევითი—40 მ. სულ 1220 მ., ნაკლები 1040 მანეთით. ეს კი კარგი შემსუბუქებაა. ეს ხარჯი იკრიბება წლიწადში ორჯელ. სურამის სამამასახლისოში არის 1200 კომლი, რომელიც იხდის ამ ხარჯს. თითო კომლს ახლა გადახდება წლიწადში 1 მ., თითო ჯერზე კი—ათი შაური. მთავრობის მამასახლისების გაუქმებას სხვა სიკეთეც მოჰყვა. ეს სამი წლიწადია სოფლებში გლეხკაცები მორიგეობით დარაჯობენ დამ-დამობით. დარაჯები უმეტეს ნაწილად სოფლის კანცელარიაში იყვნენ ხოლმე დამწყვდეულნი. აი, ეს როგორა ხდებოდა: მამასახლისი მიდიოდა სოფლებში დამე დარაჯების დასაზვერად, რამდენად „კეთილსინდისიერად" ასრულებდნენ მოვალეობას. შედეგად მათი დატუსაღება იყო იმ დრომდე, სანამ ჯარიმას არ გადიხდიდნენ. ბევრ შემთხვევაში ეს ჯარიმა უსამართლო იყო.

სურამში ძალიან გაუხარდათ მთავრობის მამასახლისის თანამდებობის გაუქმება.

**- მოსწავლე.**

## პეტერბურგის ცხოვრება

### (შთაბეჭდილებანი)

უზრუნველ ქალაქში თავაშვებული ქეიფი—აქაური თეატრები.—ჩვენებური მოსწავლე ახალგაზრდობა.

როცა გულდასმით უკვირდებით პეტერბურგის აბობოქრებულ ცხოვრებას, კერძო, ეგოისტურ ყოფისთვის ასეთ ავადმყოფურ გამალებით მაჯის ცემას; როცა თვალითა ჰხედავთ აქ მცხოვრებთა უმრავლესობის თავდაუჭერელ „გიჟურ ქეიფს", როცა შედიხართ რესტორანებში, ყავახანებში, სასტუმროებში თუ საზამთრო ბაღებში და აკვირდებით ძვირფასს ტანისამოსში გამოწყობილთა უზომო, თითქოს დაუსრულებელ დროს ტარებას, უანგარიშოდ ფულის ფლანგვას; როცა ჰხედავთ აქაურ მსხვილ მოხელეთა და მემამულეთა მანდილოსნებს იმ გვარ სამოსელში გამოწყობილთ და თვალმარგალიტში ჩასმულთ, რომ თვალს ვეღარც კი უსწორებთ,—უნებლიეთ გიდგებათ თვალ-წინ აქედან ბოჰუჰას ქსელივით მთელ რუსეთში გაბმული რკინის გზები და ფოსტა-ტელეგრაფის მავთულები და უფრო ადვილადა ხსნით სტრაჟნიკების და ეგზეკუციების ანაბარა მიტოვებულ, გადამეტებულ მუშაობით და გაუმაძღრობით წელში გაწყვეტილ კასტრამის „მუჟიკის" ან ჩვენებურ „ტეტიას" ძაღლ-უმადურ ყოფნას...

იმის დასახასიათებლად, თუ როგორ ატარებენ აქაურები დროს, განსაკუთრებით უქმეებში (და ნეტავი როდის არ არის ამათთვის უქმე!), შეგვიძლიან მოვიყვანოთ თუ გინდ ერთი მაგალითი, რაიც აქაურ გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული: ერთ „კამპანიას" რომ მობეზრდა მრავალ გვარი, წრეს-გადასული დროს გატარება, ფულის ბნევა, დროებით შესასვენებლად მოისურვა სახლებში დაბრუნება, მაგრამ წასვლამდის უბრძანა რესტორანის გამგეს, დაეცხო ბლინები და იმითი დაეფინა კარგა დიდი მანძილი, გასავლელი გზა რესტორანიდან ქუჩამდის, სადაც კარეტები უცდიდა. სადაც „ბლინებიანი გზა" თავდებოდა, ამ „კამპანიას", უეჭველია, შეჰხვდებოდა რამდენიმე ხელგაწვდენილი მათხოვარი, რომელნიც „ორიოდე გროშს" მოითხოვდნენ ყინვიან ღამის თავშესაფარ სახლში გასატარებლად, მაგრამ უზრუნველი მოქეიფენი, სიცილ-ხარხარში, აბა რას შეამჩნევდნენ"...

როგორც მოგეხსენებათ, ამ გვარ აღვირ-ახსნილს ცხოვრებას თან დასდევს ზნეობრივი სიდამპლე, გარყვნილება. [illegible] „ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს", ან „[illegible] მონასტერიო" ასეთია აქაური ცხოვრება.

შედით რესტორანებში, სასტუმროებში, ყავახანებში, საზამთრო ბაღებში, სადაც, როგორც იტყვიან, ფუთფუთი გააქვს სხეულით მოვაჭრე ქალებს. ხშირად შეჰხვდებით მშვენიერ თვალ-ტანის, სულ ახალგაზდა ნასწავლ ქალს და გიკვირთ, რომ თავი ვერ შეუკავებია და დასდგომია მოლიპულ გზას. სპეტაკი, კაცის სულის აღმაფრთოვანებელი, მაღალი გრძნობა-სიყვარული მთლად გათქვეფილა და დაცემულა პირუტყულ ჟინის დაკმაყოფილებამდე და მოურიდებლად საჯაროდ იყიდება. რაღაც სოდომის ხანას წარმოადგენს აქ მცხოვრებთა სქესობრივი ურთიერთობა. რაღა თქმა უნდა, ასეთი თავ-დაუჭერელი ცხოვრება უშედეგოდ არ მიმდინარეობს, თავისი ნაყოფი აქვს: ძალიან იშვიათად შეჰხვდებით ისეთ კაცს, განსაკუთრებით ახალგაზდას, რომელსაც რამდენიმე ვენერიული ავადმყოფობა არ გამოევლოს, სხეული არ მოეწამლოს...

თუ რამ არის აქ მარად შესანიშნავი (გარდა მუზეუმებისა, ძეგლებისა, სამეცნიერო ტაძრებისა და ეკკლესიებისა), ხელოვნებით მაღლა დაყენებული თეატრებია. ტყუილად კი არა აქვს მთელ ევროპაში სახელი განთქმული აქაურს საიმპერატორო მარინის საოპერო თეატრს! ამიტომაც არის, რომ ნაცნობთა შემწეობით თუ შეგიძლიანთ ამ უზარმაზარ თეატრში შესასვლელად ბილეთის შოვნა, რადგან საობონიმენტო ბილეთები მთელი სეზონისა უკვე წინდაწინვე დატაცებული. მე მოვიწადინე ამ თეატრში დავსწრებოდი ოპერას, რომელშიაც ცნობილი შალიაპინი იღებდა მონაწილეობას და რადგან კასებში ბილეთი არ მოიპოვებოდა, იძულებული ვიყავი მიმემართა ჩარჩისთვის (перекупщикъ). იმან გალერეის ერთ ბილეთში 11 მანეთი მთხოვა. მეც შეწუხებისთვის ბოდიში მოვიხადე და ცივად გამოვბრუნდი.

აიღეთ ახლა აქაური თეატრები, სადაც დრამები იდგმება. სრულიად გავიწყდებათ, რომ თეატრში ხართ, იმდენ უმაღლეს ესთეტიურ სიამოვნებას გაგრძნობინებთ აქაურ მსახიობთა მწყობრი, ბუნებრივი, ნიჭიერი და ხელოვნური თამაში.

მე დაინტერესებული ვიყავი აქ მოსწავლე ჩვენებურ ახალგაზრდათა ყოფა-ცხოვრებით. ამიტომაც ზოგი პირადათ და ბევრი გადმოცემით გავიგე რამ და, სამწუხაროდ, საიმედო ცოტა რამ შევიტყე. ჩვენ ქართველებს, საზოგადოდ, სახელი გვაქვს გავარდნილი, როგორც მაგარ ხასიათს მოკლებულის, უზრუნველ-უდარდელ და მოქეიფე ხალხისა. თუ ეს რამდენიმედ მართალია, ადვილად წარმოსადგენია ამ „გადარეულად მხიარულს" და საეჭვო ზნეობიან ქალებით სავსე ქალაქში რამდენად თავდავიწყებით გადაყოლილი იქნება ჩვენებური ახალგაზრდობა. სადღაა მიზანი და მისწრაფება, მაგ, სამოციან, ან ოთხმოციან წლების მოსწავლეთა! ეხლა ერთ-ვ-ლესობა იმის ფიქრში-დაა, რაც შეიძლება მეტად ისარგებლოს აქაურ „მხიარულ ცხოვრებით. ესენი იმდენად მეცადინეობენ, რამდენიც საჭიროა, რომ სასწავლებლიდან სრულიად არ დაითხოვონ. ზოგი იმის ფიქრშია, რომ როგორმე სამუდამოდ აქ მოეწყოს და ზოგი კიდევ იმაზე ოცნებობს, რომ, სწავლის დამთავრებისას, რაც შეიძლება კარგი და დიდ ჯამაგირიანი მოხელის ადგილი ჩაიგდოს, გინდ იგი სამშობლოდან ცხრა მთას იქით კი არა, თვით ჯოჯოხეთში იყოს და ილიასი არ იყოს, „ქვეყანა და ქვეყნის

საქმე ამათ ფეხებზე ჰკიდიათ“... ხანდახან რომ შეიკრიბებიან ხოლმე, უმთავრესად მხიარულ სტოლის გარშემო და, სხვა სადღეგრძელოთა შორის, გაიხსენებენ ხოლმე „დაბეჩავებულ საქართველოს“, ცოტა ხნით თითქოს ჩაფიქრდებიან კიდეც, მაგრამ ეს სულ ცოტა ხნით და მალე ისევ უზრუნველად შემოსძახებენ:

„...Еще одна моя мечта:
расцѣловать твои уста,
едва касаясь...“

მე არ ვამბობ, რომ ამ გვარიანად მრავალრიცხოვან მოსწავლეთა შორის სულ არ მოიძებნებოდეს ერთიორი ისეთი ახალგაზრდა, რომელიც გულწრფელად მოწადინებულია ალიქუროს ცოდნით და ცოტა რამ სამსახურით მაინც არის დაუბრუნოს სამშობლოს მიერ მასზე დახარჯული ამაგი. ყოფილა აგრეთვე სამეცნიერო წრე, ჩვენი მხრის წარსულის და აწმყოს შესასწავლად, მაგრამ ისიც რაღაც ენერგიას მოკლებული. ყველა ეს სართოდ კი ვერ ამართლებს აქაურ ახალგაზრდებზე დახარჯულ ფულს და მომავალის იმედებს.

ვფიქრობთ, ბევრით უპრიანი იქნებოდა, რომ ამათზე დახარჯული ფული მოხმარებოდა ჩვენშივე, მიტოვებულ გამოყრუებულ სოფელს.

**გ. ახალციხელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** კვირა საღამოს ვლ. ალექსი-მესხიშვილმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. ქართული თეატრი თითქმის გაჭედილი იყო. ვლ. მესხიშვილის გარდა, ეჭვი არ არის, პიესამაც მიიზიდა ხალხი, რადგან თეატრში მოსიარულე ქართველ საზოგადოებისათვის კლასიკური პიესები იშვიადი ხილია.

წარმოდგენამ ჩვეულებრივად ჩაიარა. არც საკვირველია: თუ უბრალო და მარტივ პიესის წარმოდგენა უძნელდებათ ჩვენ არტისტებს, ორკეცად უფრო გაუძნელდებათ ისეთ რთულ პიესის წარმოდგენა, როგორიც „ჰამლეტია“. საჭიროა მთელი თვეობით მზადება, რომ ამ გვარმა პიესამ ჩვენ სცენაზე რიგიანად ჩაიაროს, რადგან მეორე და მესამე ხარისხოვანმა არტისტებმა ანუ, უკეთ სცენის-მოყვარეებმა არც სიარული იციან სცენაზე და არც დგომა.

ვერაფერი პარტნიორები ჰყავდა მესხიშვილს. თვითონ მესხიშვილზე არას ვამბობთ, რადგან იგი მრავალჯერ უნახავს ჩვენს საზოგადოებას ამ როლში. ძალიან სუსტი იყო მეფის როლის ამსრულებელი ივანიძე. რამდენი წელიწადია ეს მსახიობი სცენაზეა და ჯერაც სიარული ვერ უსწავლია. საზოგადოდ, მეფე კლავდიუსის როლში ეს მსახიობი ძალიან უხერხულად ჰგრძნობდა თავს. არ იცოდა, როგორ მჯდარიყო სავარძელში, სად წაეღო ხელები. წარმოდგენის სცენაში ხომ ისე გაჭიმა ფეხები, რომ ბევრს სიცილი მოჰგვარა.

სუსტები იყვნენ ჯავახიშვილი, მგალობლიშვილი, ჟივიძე, ნებიერიძე, სვიმონიძე, რომელიც აჩრდილს თამაშობდა და როლი-კი არ იცოდა. გვიკვირს, რატომ მონაწილეობა არ მიიღებინეს კარგარეთელს, ტასო აბაშიძეს, შათირიშვილს, გამყრელიძეს და სხვებს. უკეთესი არ იქნებოდა, მეფის როლი გამყრელიძისთვის მიენდოთ. ბევრი არტისტი ქალი და კაცი თავისუფალი იყო იმ დროს, როცა მეფე-დედოფალს არც ერთი კარის-კაცი არ ახლდა.

ამ საღამოს პირველად იღებდა მონაწილეობას კ. ანდრონიკაშვილი (ჰორაციო), რომელიც აშკარაა სასცენო მუშაობისთვის ემზადება. ჯერჯერობით იმის მეტს ვერას ვიტყვით, რომ კ. ანდრონიკაშვილს სცენაზე თავი შედარებით თავისუფლად უჭირავს.

დეფექტები წარმოდგენის დადგმაშიაც იყო. აჩრდილს, მაგალითად, ისე მიაცურებდნენ, რომ კინაღამ ყირა-მალა არ გადაკოტრიალდა. ბოლოს იძულებული გახდა ფეხით გაევლო.

—

**ქართველ მსახიობთა ბენეფისები.** დრამატიულმა საზოგადოებამ ამ სეზონში დაუნიშნა ბენეფისები შემდეგ მსახიობთ: ქ-ნთ ტ. აბაშიძეს და მ. მდივანს; ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილს და კ. მესხს. ბენეფისები დაიწყება სულ ახლო მომავალში. სეზონი გათავდება 1 მარტს.

—

**ქართული წარმოდგენა.** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება პარასკევს, 22 იანვარს. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული პიესა „სად მიხვალ?“ თარგმანი აკაკი წერეთლისა.

—

**ბათუმი.** 14 იანვარს გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო, რიცხვით მეჩვიდმეტე. წარმოდგენილ იქნა „ხანუმა“ მეორე მოქმედება და „ორიობოლი“ მეხუთე მოქ.

გამოჩნდა თუ არა გაბუნია-ცაგარლისა ფროშარის როლში, საზოგადოება ალტაცებით მიეგება და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ორივე მოქმედება კარგად შეასრულეს შემდეგ იწყო ადრესების კითხვა და მისალმება ნატალიასი. ადრესები წაიკითხეს მეფისაშვილმა, სომეხთაგან — გრიგორიანცმა, ერთმა მუშამ გრძნობიერი სიტყვა უთხრა, მშვენიერი ლექსი წაუკითხა რუხაძემ და სხვა.

მშვენიერი იყო კალანდაძის ხორო.

ბუნებრივი, ნამდვილი სურათი იყო გურულების სიმინდის რჩევა, „ხელხვავის“ მღერა და ნადიმობა. განცვიფრებაში მოიყვანა ამ სურათმა უცხოელნი. კარგი იყო აგრეთვე ხალხური სიმღერები ბ-ნ ჩავლეიშვილის მიერ შესრულებული და ბოლოს ცოცხალი სურათი „კერპების შემუსრვა“. გამოჩნდა სცენაზე წმ. ნინო ჯვრით ხელში და მცირე ხნის შემდეგ კერპები დაიმსხვრა.

ხალხი ბევრი დაესწრო და ცეკვა—ლეკურმა გათენებამდის გასტანა.

**ჭოროხელი.**

—

**ვერის აუდიტორია.** ვერის აუდიტორიაში შაბათს, 16 იანვარს, წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ამ დღეს წარმოადგინეს დრამა „დამნაშავეა?“ სცენის მოყვარეებმა ვერ შესძლეს პიესის გმირების გაპიროვნება, მათი ტანჯვის გადმოცემა—ეს მათ ძალას აღემატა. აღსანიშნავნი არიან ბ-ნი ჭანკვეტაძე (კარლის როლში), ანკარა (იულიას როლში) და ლეხურელი (ტომას ლეირი). ბ-ნ მანჯავიძეს არავითარი შეგნება როლისა არ ეტყობოდა. წარმოდგენა საათით დაპირებულზე გვიან დაიწყო.

## რუსეთი

**✦ პურიშკევიჩი.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა პურიშკევიჩმა თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლს ერთი ქილა კარბოლის სიმჟავე გაუგზავნა. ამასთან პურიშკევიჩმა წინამძღოლს წერილი გაუგზავნა. პურიშკევიჩი, სხვათა შორის, სწერს: რადგანაც ამ დღეებში ებრაელებმა დეპუტატთა საკრებულოში კონცერტი გამართეს, ამიტომ გიგზავნით კარბოლის სიმჟავეს, რომ დეზინფექცია მოახდინოთო.

**✦ თავისუფალ-მსმენელი ქალები.** „რუსკ. ვედ.“ სიტყვით მინისტრთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტი და თავისუფალ-მსმენელ ქალებს სტუდენტებთან ერთად სახელმწიფო ეგზამენებზედ დაუშვებენ.

**✦ ცირკულიარი.** ენისეისკის გუბერნატორს საინტერესო ცირკულიარი გამოუცია. გუბერნატორი პოლიციელებს წინადადებას აძლევს, თვალყური ადევნონ, რომ მცხოვრებლებმა პოლიტიკური გადასახლებულები მასწავლებლად, ან რეპეტიტორად არ დაიჭირონ. ვინც გუბერნატორის ცირკულიარს დაარღვევს მას პირველად 50 მანეთით დააჯარიმებენ, მეორედ 100 მანეთით, და მესამედ გუბერნიიდან გააძევებენ. გაჭირვებულ გადასახლებულებს ეს ღა ეჭირვებოდათ!

**✦ ვოსკრესენსკი-პეტროვი.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, სამხედრო სასამართლომ უკვე განიხილა ვოსკრესენსკი-პეტროვის საქმე, რომელმაც პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი მოჰკლა. სამხედრო სასამართლომ პეტროვს სიკვდილი მიუსაჯა, რაიც სისრულეში მოიყვანეს 12 იანვარს. 12 იანვარს ღამე პეტროვს არა სძინებია თურმე. როდესაც დასასჯელად წაუყვანიათ, მას ნებართვა უთხოვნია, ცოლს და ნათესავებს წერილს მივწეროო. ადმინისტრაციას ნება დაურთავს. შემდეგ პეტროვისთვის წინადადება მიუციათ, ეზიარეო, მაგრამ მას უარი უთქვამს. ვოსკრესენსკი დილის 4 საათზედ ჩამოახრჩვეს.

**✦ ფლოტის განახლება.** მთავრობის განკარგულებით ამ დღეებში ნაღმოსანთა რაზმის უფროსად დაინიშნა კაპიტანი ფონ-რიხტერი. საინტერესოა ფონ-რიხტერის ისტორია. ამ 4-5 თვის წინად მისი საქმე გაარჩია სასამართლომ. ბრალდებოდა ნაღმოსანის დაღუპვა. ნაღმოსანი კლდეს დაეჯახა. სასამართლომ ნაღმოსანს უფროსობა ჩამოართვა. გავიდა 4-5 თვე და ფონ-რიხტერს ნაღმოსანთა მთელი რაზმი ჩააბარეს. ვერ შესძლო ერთ ნაღმოსანის უფროსობა და მოხმარება, მიიღე ნაღმოსანთა მთელი რაზმი; ასეთია, როგორც სჩანს, მთავრობის ლოღიკა. ფლოტის განახლებაც ასეთი უნდა! (რ.).

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, ეკატერინოდარში 3, უფაში 2, პეტერბურგში 1, ტამბოვში 2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: უფაში 1, ოდესაში 2, ეკატერინოდარში 2, ვარშავაში 1 კაცი.

**✦ სამოსწავლო ოლქის რევიზია.** „უტრო როსსია“-ს გაუგია, რომ ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ ყველა სამოსწავლო ოლქებს. რევიზია ვითომ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ განზრახული აქვთ გააუქმონ სამოსწავლო ოლქის მზრუნველების თანამდებობა.

## წერილი რედ. მიმართ

(საზოგადოების საყურადღებოდ)

წარსულ წლის ოც დეკემბრის ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე კრების თავმჯდომარემ სთხოვა იმ წევრთ, ვინც გვიან იყვნენ მოსულნი, ჩაწერილიყვნენ, რაიც ხმების შესამოწმებლად იყო საჭირო. ჩაეწერა რამდენიმე სხვათა შორის არ ყოფილიყო ჩაწერილი ჟურნალ „მათრახ-სალამურის“ სულის ჩამდგმელი ბ-ნი ნესტორ კალანდაძე, რომელიც ჩემგან რამდენიმედ შორს იდგა და ჩემთან მდგომმა დიდად პატივცემულმა მ. რა—ძემ მითხრა, „დაუძახე ჩასწერენ ეშმაკი“-ო. მეც, ჩემდა საუბედუროდ, დავიძახე „ჩასწერეთ ეშმაკი“ მეთქი. სიტყვა ჯერ არც კი მქონდა გათავებული, რომ ბ-ნმა ნესტორ კალანდაძემ გააპო ხალხი და ისეთის ძალით დამკრა მუშტი თავში, რომ ცოტას მორჩა არ წავიქეცი, თანაც დაატანა: „ვინ ოხერია ეგ მა—ძ—ლი“-ო. როცა შევეკითხე: „კაცო, რა ჰქენი ეს მეთქი“, მომცა პასუხად: „შენ რა უფლება გქონდა, ჩემი ფსევდონიმი გეხსენებინაო“*). თავში სისხლი ამივარდა... აღმეძრა სურვილი სამაგიეროს გადახდისა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მოვიკრიფე ძალღონე და შევიკავე თავი იმ განზრახვით, რომ ვაი თუ საზოგადოებისთვის რამ ზიანი მომეტანა და თანაც ვიფიქრე, მიუდგომელი საზოგადოება დასდებს ღირსეულს მსჯავრს მეთქი და ან თითონ მასში გაიღვიძებს გრძნობა სინანულისა და ბოდიშს მოიხდის მეთქი, როგორც ჩემს, ისე პატივცემულ საზოგადოების წინაშე. მაგრამ მოვტყუვდი ერთშიაც და მეორეშიაც. თუმცა აგერ ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, მაგრამ სდუმს საზოგადოება და სდუმს კალანდაძეც. ახლა რაკი იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა არა ყოფილა ბ-ნ ნ. კალანდაძეში, რომ ბოდიშით მაინც დაემშვიდებინა ჩემი აღშფოთება, დღეიდან ვიტოვებ უფლებას ისე მოვიქცე, როგორც საუკეთესოდ დავინახავ.

ყოფილი რედაქტორ-გამომცემელი გაზეთ „ცი კრისა“ **ი. ალხანაშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს. „დროების“ მე-283 ნომერში (1909 წ.) მოთავსებული იყო თქვენი კორესპონდენტის Legatus-ის წერილი ამ სათაურით: „მთავრობის მამასახლისები და მათი შენახვა“, სხვათა შორის, იგი შემეხო მეც და სწერს: „ერთი კიდევ მაგალითი, რომელიც უკვე გადააყენეს. ცხინვალის მომრიგებელმა შუამავალმა როკის საზოგადოების მამასახლისს ბრძანება გაუგზავნა: 1333 მ. შეაწერე საზოგადოებას მოხელეებს ჯამაგირებისათვის და აკრიფეო. როკის მამასახლისმა მოახსენა, რომ ეგ შეცდომაა და საჭიროა მხოლოდ 700 მ. თქვენ ვინა გკითხავთო? შეუტია მომრიგებელმა და მამასახლისმაც შეასრულა ბრძანება“ და სხვა. რაც ამ ამონაწერში ეკუთვნის ცხინვალის უკვე გადაყენებულ მომრიგებელ შუამავლის საქციელს, სიმართლეს მოკლებულია. როკის საზოგადოებაში 1909 წლის პირველ მაისამდის იყო ამორჩეული მამასახლისი, რომელიც თავის მოხელეებით იღებდნენ თვეში შემდეგს ჯამაგირს:

| | |
|---|---|
| მამასახლისი . . . | 20 მ. |
| მწერალი. . . | 20 „ |
| ორი იასაული . . . | 16 მ. 66 კ. |
| კანცელარიის მცველი. | 4 მ. 16 კ. |
| სულ | 60 მ. 82 კ. |

*) თუ ეგრე სამარცხვინოდ მიაჩნდა თავისი ფსევდონიმი, მე არ ვიცოდი. ი. ალ.

და პირველ იანვრიდან პირველ მაისამდინ (1909 წ.) ოთხი თვისა ერგებოდათ 243 მ. 28 კ.

პირველ მაისიდან ამორჩეული მამასახლისი გადააყენეს და დანიშნეს მთავრობისა თავის ოთხი სტრაჟნიკით ექვსი თვის ვადით. ამ მოხელეებს ჰქონდათ შემდეგი ჯამაგირი თვეში:

| | |
|---|---|
| მამასახლისს. . . . | 30 მ. |
| მწერალს . . . . | 20 „ |
| 4 საეროზო დარაჯს . | 100 „ |
| 2 იასაულს . . . . | 16 მ. 66 კ. |
| კანცელარიის მცველს. | 4 მ. 16 კ. |
| სულ | 170 მ. 82 კ. |

ექვს თვეში აქ მოხელეებს ერგებოდათ 1024 მ. 92 კ. კანცელარიის სახარჯოდ, რამდენათაც მახსოვს, როგორც უკვე გადაყენებულს და რადგან საქმეც ხელთ არა მაქვს, იყო დანიშნული 70 მ. წელიწადში. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ როკის საზოგადოების მოხელეებს 1909 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდის კანცელარიის ხარჯით ერგებოდათ 1300 მ. მეტი და არა 700 მ., და თუ როკის მამასახლისმა მომახსენა, რომ ეს ანგარიში შეცდომაო, მე სრული უფლება მქონდა მეპასუხნა „თქვენ ვინა გკითხავთო?“, თუმცა ამ შემთხვევას ადგილი არა ჰქონია. ამ ფულს მამასახლისი ჰკრეფდა და სახელმწიფო კასაში აბარებდა, მხოლოდ წიგნაკს მე ვიბარებდი, ყოველთვე მამასახლისი წარმომიდგენდა ხოლმე ჯამაგირების სიას და იმის მიხედვით ვიწერდი კასიდან ფულს და ურიგებდი მოხელეებს, რომელნიც სიაზე ხელს აწერდნენ. კანცელარიის სახარჯო ფულს იღებდა მამასახლისი და რაც კი ხარჯი იყო კანცელარიისთვის — შეშა, ნავთი თუ სხვა რამე, თითონ ყიდულობდა და მე არავითარი დამოკიდებულება არა მქონდა, ასე რომ „Legatus“-ის მიერ მოხსენებული შეშის ფულის შესახებ 76 მ. ყოველ სიმართლეს მოკლებულია.

მოხელეთა მოქმედების თვალ-ყურის დევნა და პირ-უთვნელად გაზეთის ფურცლებზე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება მოვალეობას შეადგენს ყოველ პატიოსან ადამიანისათვის, მაგრამ ბ-ნი „Legatus“-ის თავის წერილით ამტკიცებს, რომ მას საქმე სრულიად არ გაუცვნია და ამ ნაირად ბ-ნი Legatus-ის უსაქართლოდ ჩირქსა მცხებს.

**გიორგი დიმიტრის ძე კვალიაშვილი.**


## განცხადებანი

**კირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეჟტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—249)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—40)

**◀ ვკისრულობ დაცვას ▶**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლეს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოდ, სააპელაციოდ, საკასაციოდ; ვაძლევ ხზვა და ხზვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, № 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა № 4. (წ.—6.—26)




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასაწურით— „სეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. სამუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათის ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი შემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბედ. გაგზავნა ნაღით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) აღრესატი მიუღებ ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

| | | |
|---|---|---|
| Парижъ PARIS | 7 | S. Strumfeld B-ard St. Marcel 76 |

**უ ფ ა ს ო დ** ვგზავნით ახალ ოქროსს კოხტა მეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ.
(Мецль и К°. N 247). (8—6.—3)

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# მომავალი

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.**

**გაზეთი ღირს:** ტფილისსა და ტფილისს გარეთ: ერთი წლის 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: ტფილისში 2 მან. 20 კაპ., ტფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. ერთი თვით: ტფილისში 80 კაპ., ტფილისს გარეთ 90 კაპ.

**◀ ცალკე ნომერი ერთი შაური ▶**

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3. ზემო სართული.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе. (4—4)

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

# ჯეჯილი

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთ“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.
(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1910 ГОДЪ
(ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

## на двухнедѣльный журналъ „ФИНЛЯНДІЯ“.

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

**24 номера въ годъ.**

Редакторъ: **А. В. Игельстромъ.** Издатель: **Д. Д. Протопоповъ.**

Задачей журнала „ФИНЛЯНДІЯ“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и отраженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную россійскими Монархами.

„ФИНЛЯНДІЯ“ кромѣ того даетъ обширный фактическій матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

**подписная цѣна съ доставкой и пересылкою:**

| | Въ Россіи и Финляндіи. | Заграницу. |
|---|---|---|
| На цѣлый годъ . . . . . . . . | 6 р. — к. | 7 рублей |
| „ полгода . . . . . . . . | 3 » — ». | 4 » |
| „ три мѣсяца . . . . . . . . | 1 » 50 ». | — |

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложеннымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста). Тел. 109—12, въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вальфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи. (3—3)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—99)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**